



ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



განკარგულება:გ-65.65212163

თარიღი:04/08/2021

საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეის მოწოდების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე პუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N 628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მოწოდებული იქნას „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებულ განვითარების პროგრამით“ გათვალისწინებული, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარსადგენი საპროექტო იდეის განაცხადი:
 - 1.1. ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთაში, შუამთა-ქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. (დანართი N1 თან ერთვის).
 2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს საპროექტო იდეის განაცხადების წარდგენა არსებული წესით.
 3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

